გაზეთი ღირს

| თოვე | მან. კ. | თოვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.
ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

მიიღება ხელის მოწერა
მომავალ 1894 წლის ქართულ ჟურნალ
## „მოამბე“-ზე.

| | წელიწადში | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარეთ | 13 „ | 7 მ. 50 კ. | 5 „ |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მ., 1 მაისამდე 3 მ. და 1 სექტემბრამდე 3 მ.

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, №13.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, въ Редакцію „Моамбе“.

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—23)

ა. რალლე და კომპ.
მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

### აპონური საპონი „მუსმე“
მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.


ჟურნალ „მოამბეს“ განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.


ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს,
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ბ. კ. ყიფიანის მონაწილეობით, ქ. ბ. მ. მესხიშვილის დებიუტისათვის წარმოდგენილი იქნება

I

### დამარცხებულნი
დრამა 4 მოქმ. პ. უმიკაშვილისა

II

გ. ბ. მაქსიმაძის დებიუტისათვის
### დატრიალდა ჯარა
ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმაძისა, მესხიშვილისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

ტფილისის საზღოსნო სკოლის საბჭო
ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 29 ოქტომბრისათვის.
(3—რ—1)


# ახალი ამბავი

*** ამ კვირია ტფილისის საგლეხო საკრებულო განიხილავს ორს ფრიად საყურადღებო საქმეს.

მკითხველს ეხსომება, რომ 3 ივნისს 1891 წ. უმაღლესად დამტკიცდა ხიზნების დებულება. ამ დებულების ძალით მებატონეს უფლება აქვს თავისი ხიზანი გადაასახლოს თავის მამულიდგან, მხოლოდ ხიზანს უნდა უზღოს ერთპ ორად ყოველ ნაშენობის ფასი.

ამ კანონით უსარგებლია რამდენსამე გორის მაზრის მებატონეს და უთხოვნიათ მომრიგებელ შუა-კაცისთვის, გადაასახლე ჩვენი ხიზნები და ვკისრულობთ გადავიხადოთ მათ სასარგებლოდ მათი შენობის ფასი ერთიორად. მომრიგებელ შუა-კაცსაც განუხილავს საქმე და დაუდგენია განჩინება: ხიზანი გადასახლდეს დ მებატონემ გადიხადოს კანონით დწესებული ფასიო.

აი სწორედ ამ განაჩენზედ განიხილავს საჩივარს საგლეხო საკრებულო. საყურადღებო აქ ისაა, რომ ასეთი საჩივარი პირველია მას შემდეგ, რაც უმაღლესად დამტკიცდა ხიზანთა დებულება. მეორე საყურადღებო გარემოება კიდევ ისაა, რომ ერთი მებატონეთაგანი მცირე მამულის პატრონია და ერთის კომლის ხიზნის სასარგებლოდ, რომელიც მომრიგებელ შუა-კაცის განაჩენით გადასახლდება, უნდა გადაიხადოს ას ორი თუმანი. მაშასადამე ხიზნის სახლ-კარი დაუფასებია ორმოცდა თერთმეტ თუმნად.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ დღეიდგან გუბერნიის სამმართველოსთვის საჭირო ქაღალდები, ბლანკები და წიგნები დაიბეჭდოს ხოლმე მეტეხის საპატიმროსთან დაარსებულ სტამბაში.

*** ამ დღეებში თელავში დაიწყებს მუშაობას მთავარ-მართებლის მიერ დაარსებული კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი იაკიმოვი. კომისიის წევრებად არიან: ტფილისის საგლეხო საკრებულოს წევრი თ. ი. ჭავჭავაძე, თელავის მაზრის მარშალი თ. ი. ჯორჯაძე და თელავის მაზრის უფროსი თ. ნ. ჩოლოყაშვილი.

კომისიამ უნდა განაწესოს აწეწილ-დაწეწილი საქმე აზნ. მგალობლიშვილებისა და მათ მამულზე დამკვიდრებულ თათრებისა. ეს საქმე თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც სწარმოებს და ჯერაც არ დასრულებულა. ყარაჯალის და კაპანაჩას თათრები ჯერ სულ არ აძლევდნენ მებატონეთ ღალა-კულუხს, მეფე ერეკლემ გვიბოძა მამულებიო და მერე, თუმცა დასთანხმდნენ ხარჯის გაღებას, მაინც გადასახადი არ შეჰქონდათ ხაზინაში და ამით საშინლად დაზარალდნენ მებატონენი, რომელნიც მთავრობას ემუდარებოდნენ, შეისყიდეთ ჩვენი მამულები და სამუდამოდ მოგვაშორეთ ჩვენ გლეხებსაო.

რადგან მთავრობას ეძნელებოდა ერთბაშად დიდის ფულის გაღება, საქმე შეფერხდა და დღესაც გამოურკვეველია. თათრები გადასახადს არ იხდიან და მებატონენი-კი პრიკაზის ვალით დიდად სწუხდებიან.

კომისიას დავალებული აქვს, იღონოს ისეთი ღონისძიება, რომ როგორმე დასრულდეს ეს დაუსრულებელი საქმე. ან ერთბაშად მიეცეთ ფული ხაზინიდგან მგალობლიშვილებს, ან დაგირავდეს მამული რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში, ნასესხი ფული გარდაეცეს მებატონეთ და წლიური გარდასახადი გაიღონ თათრებმა, ან სხვაფრივ როგორმე.

ყარაჯალა და კაპანაჩი მდებარებენ თელავიდან ექვს ვერსზე. იქაური თათრები კარგად ლაპარაკობენ ქართულად.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მალე ამოარჩევენ ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიის მნათეს.

*** ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ-ნ შაჰაზიზოვ-კამსარაკანს უკანვე გამოუტანია თავისი წინადადება იმის შესახებ, რომ ვთხოვოთ თავად არღუთაშვილს—მხარგრძელს იკისროს კიდევ ქალაქის მოურაობაო.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ჩვენი მხარე, სოფ. სკრიდამ დაწყებული ზღუდრამდე, ორ სამამასახლისოდ გაიყო. თვითო სამამასახლისოში 700—800 კომლი იქნება. ქარელის სამამასახლისოს გლეხკაცობამ პირველად თავი მოიყარა ქარელში მამასახლისის ასარჩევად 18 ივლისს და ხიდისთავის ბოქაულმა დააფიცა ხალხი, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა არჩევანი. ბოქაულმა აუხსნა, რომ, რაკი ამოდენა სამამასახლისო დაწესდა, ნასწავლი და შეგნებული კაცი უნდა ამოირჩიოთ, და ამისთანა კაცს გასამრჯელოც დაუნიშნოთო. მეორედ ყრილობა მოხდა 22 აგვისტოს და კიდეც აირჩიეს თ. დავით კირილეს ძე ციციშვილი. ახალს მამასახლისს დაენიშნა ჯამაგირად 1000 მან., იმ პირობით-კი, რომ მწერლისა და ჩაფრების ხარჯიც თვითონვე უნდა იკისროს.

*** ს. საჩხერე 1 ოქტომბერს: სოფელ შროშაში (შორაპნის მაზრაში) რამდენსამე ვენახში გაჩნდა ფილოქსერა და სრულიად მოსპო მაღლარი, კრახუნა და სხვა გვარი ვაზი, მხოლოდ შანთს ვერას აკლებს მე ჩემის თვალით ვნახე ის ადგილი, სადაც გაუხმია ვენახები და შანთი, რომელსაც ფესვები სხვა გამხმარ ვაზის ფესვებში ჰქონდა გაბმული, სრულიად შეუცვლელად იყო. ამას უბრალო შემთხვევას მივაწერდი, რომ კარგად არ დავკვირვებოდი. ამას გარდა, ვისაც-კი ვკითხე, მითხრეს შანთს გარდა ყველა გვარი ვაზი გააფუჭაო. ძალიან სასარგებლო უნდა იყოს ამის მეცნიერულად გამოკვლევა.

*** ტფილისის 1 კლასიკურ გიმნაზიაში 3 ოქტომბერს ბ-ნმა ი. კუპრენკომ საჯაროდ წაიკითხა რეფერატი ქრისტეფორე კოლუმბის შესახებ. ამით დაიწყო წელს სახალხო ლექციების სეზონი.

გაზეთი Н. О. ამის გამო ამბობს:

ვისურვებთ-რა ჩვენის მხრივ ამ საქმის წარმატებას, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენში, ტფილისში, სახალხო ლექციებს მაშინ ექმნებათ მხოლოდ აზრი და მნიშვნელობა, როდესაც, რუსულს გარდა, აქაურ მკვიდრთა ენებზედაც დაიწყებენ კითხვას. ეხლა-კი ხალხი ვერას იგებს წაკითხულისას და ამიტომაც მკვიდრთაგანი თითქმის არავინ დაიარება.

**შეცდომის გასწორება**: გუშინდელ დეპეშაში ვენიდგან „დიდის მთავარის “ლობანოვ-როსტოვსკის მაგიერ, უნდა იყოს: „თავადის“ ლობანოვ-როსტოვსკის.

## საბჭოს მატიანე

ორშაბათს, 4 ოქტომბერს, ჰქონდა კრება ქალაქის საბჭოს. უწინარეს ყოვლისა, ქალაქის მოურავის მოადგილემ გამოაცხადა, რომ ხმოსანმა შაჰაზიზოვმ უარი სთქვა თავის

წინადადებაზე, საბჭომ ადრესი მიართვას მოურავად ნამყოფს თავ. ნ. ვ. არღუთაშვილს და სთხოვოს კვლავ მოურავობა, და ამიტომ ეს წინადადება გამოვრიცხე სიიდამაო.

ხმ. ქვანგულოვი. ყოვლად შეუძლებელია მაგ წინადადების გამორიცხვა, რადგან იგი საბჭოს უწყებაშიც არის დაბეჭდილი და გაზეთ Тиф. ЛистокЪ-შიაც. დღეს არა ხვალ მაგ წინადადებას გადაჰბეჭდენ სატახტო ქალაქები და ქვეყანამ ყბად უნდა აგვიღოს, რადგან თავის წინადადებაში ხმ. შაჰაზიზოვი იძახის, რომ უკეთუ თავ. არღუთაშვილი არ იტვირთებს მოურავობას, ქალაქი ჩაუვარდება ხელში ბოროტ-გამზრახველთაო. საბჭომ უთუოდ უნდა განიხილოს ეს წინადადება და აიცილოს თავიდგან უსაფუძვლო ეჭვი, ვითომც ჩვენს შორის არიან ვიღაც ბოროტ-გამზრახველნიო.

თავმჯდომარე ბ. ა. იზმაილოვი. მე ნებას არ მოგცემთ ამ წინადადების განხილვისას და, თუ გნებავთ, შეგიძლიანთ განსაკუთრებული სარჩიელი შემოიტანოთ ქაღალდით, რომ ეს საგანი განიხილოს საბჭომ შემდეგისათვის.

ხმ. ევანგულოვმა განაცხადა სურვილი ასეთის ქაღალდის შეტანისა. შემდეგ საბჭო შეუდგა საქმეთა განხილვას სიით. განხილულ საქმეთა შორის საყურადღებო იყო ორი მოხსენება: ერთი შესახებ ახალის მაშინისა სახელოსნო სასწავლებლისათვის და მეორე შესახებ ტყის გაშენებისა ტფილისის მიდამოებში. მაშინა ამ ზაფხულს იყიდა გამგეობამ და კიდევაც დადგა საბჭოს დაუკითხავად. დაეხარჯა სულ 1650 მანეთი და ეხლა უნდა დაემტკიცებინა ეს ხარჯი საბჭოს. ხმ. ა. ს. ბაბოვმა სთქვა, რომ გამგეობამ ძველი მაშინა გაჰყიდა და შეიძინა ხმ. კარაპეტოვისაგან ისეთი მაშინა, რომელიც ჯერ ბაქოში იყო ნახმარი, შემდეგ ჩამოიტანეს ტფილისში დ შეაკეთეს. ხმ. იოანისიანმა განაცხადა სურვილი, რომ შემდეგისათვის აკრძალულ იქმნას ყოველივე აღებ-მიცემობა ხმოსანთა და ქალაქ შორისო. საბჭომ დაადგინა მიენდოს გასინჯვა მაშინისა განსაკუთრებულს კომისიას.

ბოლოს წაკითხულ იქმნა მოხსენება კომისიისა ტყეების გაშენების შესახებ. კომისიამ ამოარჩია კუკიის მამულში ოცი დღიური მიწა მთაზედ, მილის წყალის რეზერვუართან, კაზარმების სიახლოვეს, ორ-ხევ შუა, და სთხოვს ოთხას თუმნამდე, რომ ეხლავე შეუდგეს ხეების დარგვას მთელ ამ ადგილზედ. გამგეობის აზრით-კი, საკმარისია 2700 მანეთი იანვრამდეო. ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია ამ მოხსენებამ. ბევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჯერ სხვა ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი საბჭოს და უფულობის გამო არა კეთდებაო, როდესაც იმ საქმეებს გავწმენდთ, შემდეგ ტყეზედაც ვიფიქრებთო. კენჭის უმეტესობით, საბჭომ დაამტკიცა ხარჯი 2700 მანათი და ეხლავ შეუდგებიან სამ-სამის წლის ხეების დარგვას.

## დამაკვირდი

მენახშირეს ცოლი უფრო პატივსაცემია, ვიდრე ხასა მეფისა.

რუსსო

**

ბოროტ კაცად უნდა ჩაითვალოს იგი, ვინც მარტო თავის-თავისათვის არის კეთილი.

სიროსი

**

მინამ არ დაღამდება დღეს ნუ აქებ.

შილლერი

## შემოწირულობა

ვგზავნი ამასთანავე ჩემს-მიერ შეკრებილს ქ. ყუბაში ცამეტ მან. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად დაარსებულ ფონდისათვის. სია შემომწირველთა:

კ. მირიანიშვილმა—2 მან., ქ. სალარიძემ—2 მ., პოდპორუჩიკმა ღ. ვაჩნაძემ—1 მან., ნ. ახმეტელაშვილმა—1 მ., ნ. ჭიჭინაძემ—1 მ., გ. ხუტალაშვილმა—1 მ., ს. გოდერძიშვილმა—1 მ., მ. სალამბეგოვმა—1 მ., ლ. მალაფეევმა—1 მ., ში—მა—1 მ., ნ. სალარიძემ—50 კაპ., №-მა—50 კ., სულ 13 მ-ნ.

ქ. სალარიძე

## პროფესორ ლავისის სიტყვა აღზრდის შესახებ.

პროფესორმა ლავისმა, რომელსაც საფრანგეთის ახალგაზრდობა დიდ პატივსა სცემს, ამას წინად წარმოსთქვა ერთი ახალი აზრი, რომელიც არც ერთ პედაგოგს არ გამოუთქვამს დღემდე: ყველა სასწავლებელმა სწავლის დაწყების დღე უნდა იდღესასწაულოს და ამით ცოტად მაინც დაატკბოს ის სიმწარე, რომელსაც წლის ბოლოს ჭკრძნობენ ხოლმე მოსწავლენიო. ასეთი დღესასწაული წაახალისებს მოსწავლე ყმაწვილებს ახალ შრომისათვისაო. პარიჟის Ecole monge-მ მოისურვა ამ აზრის განხორციელება და დღესასწაულის თავმჯდომარედ თვით ლავისი მიიწვია. იმ დროს, როცა პატარა მოსწავლენი საგიმნასტიკო ვარჯიშობაში იყვნენ, მოზარდნი მშობლებითურთ შეიკრიბნენ დიდ დარბაზში, სადაც ლავისმა წარმოსთქვა სიტყვა და მით მიიქცია ყურადღება არა მარტო საფრანგეთის ნასწავლის ხალხისა.

„მე პესიმისტი არა ვარ, მიყვარს აწმყო და მომავალიო,—სთქვა, სხვათა შორის, პროფესორმა,—ხოლო ტყუილად ვერ დავპირდებით, ჩემო ახალგაზრდა მეგობარნო, რომ მომავალში ადვილი და უდარდელი ცხოვრება მოგელოდეთ. არა არის რა ძნელა ადვილი, და ხვალ უარესად გაძნელდება უოველივე. ჰკითხეთ ყველას, ვისაც-კი თავის შრომით უცხოვრია და იმ დრომდე მიუღწევია, როცა საქმეს უნდა ჩამოეცალოს. ყველასაგან ერთგვარ ჩივილს გაიგონებთ. მწერლისა და არტისტის ცხოვრება ისე გაძნელდა, როგორც არაოდეს არა ყოფილა. რამდენს უნდა ეცადოს კაცი, რამდენი უნდა იშრომოს, რომ მიაღწიოს რასმე. სულ უბრალო ხელობაც-კი, ხელობა უსაქმობისა, თანდათან ფუჭდება. თუ მამულის შემოსავალი და ფულის სარგებელი შემცირდა, მათ იმედზე დამყარებული დინამიტით-კი არ უნდა მოჰკლათ, თავის-თავადაც მოესპობა იმას სიცოცხლე. მაშასადამე, ბატონებო, თუ გვინდა ახალგაზრდობა აღვუზარდოთ მომავალს, რომელიც მის იმედზეა, ჩვენ უპირველესად უნდა ჩავუნერგოთ უნარი შრომისა, აღვუზარდოთ და განუვითაროთ. მომილოცნია თქვენთვის, ბატონებო, რომ სამაგალითო დროს გატარებია გამართულ გარედ. თქვენ შეიგნეთ რომ აგებულობის წრთვნა არის მასთანავე წრთვნა ზნეობრივი. განა მართლა ისაა კაცი, რომელიც მარდი არ არის, წელში მოხრილა, იღალება, ცოტა რომ ჩქარა ფეხი გადადგას, რომელსაც მდინარე გარდუვალ საზღვრად მიაჩნია, ცხენი—გაულეშავად, უზნეო კაცი პატივსაცემი ჰგონია, ხმალი—სისხლიანი იარაღი, რადგან იგბინებს, და ყოველი დაბრკოლება გულს უხეთქავს? სიმამაცე ძნელი საქმეა და მომავლისათვის, რომელთაც არა აქვთ მისი შესაფერი იარაღი, სიდინჯე, შორს გამჭვრეტობა, გამბედაობა და ღონე.

ხოლო, ბატონებო, გონებრივ აღზრდაშიაც უნდა მხნეობას მივმართოთ. კარგმა მასწავლებელმა იცის, რა გზას უნდა დაადგეს, რომ შეგირდის გულსა და გონებაში ჩაისახოს. იმას გარდაწყვეტილი უნდა ჰქონდეს, რომ სასოწარკვეთილებამდე არავინ არ უნდა მიიყვანოს, და მაშინ მის მოქმედებას საოცარი შედეგი ექნება. ზოგი ცუდის ზნეობის ბავშვი, კერპი, ბოროტი, თითქო ელოდება, რომ აი ეხლა გამომიჩნდება ვინმე, ხელს ჩამკიდებს და კეთილ გზაზედ დამაყენებსო. მე იმის თქმა-კი არ მინდა, რომ ყოვლად გაფუჭებული სრულიად არ მოიპოვებოდეს, რომლის გასწორებაც შეუძლებელია, ხოლო ამ ნაირი ცოტაა. და აქაც, როგორც გონების აღზრდაში, ისეთი მხარე უნდა მოეძებნოს, საიდგანაც მოელოდება რამე.

აღზრდა და წვრთნა მაშინ თავდება, როდესაც თავისუფალ გზაზედ უნდა დააყენონ ყმაწვილი და როდესაც პასუხის მგებლობის მოვალეობა უნდა შთაუნერგონ. მე მეშინიან, რომ ყმაწვილს არ დაემჩნეს წვრთნის გავლენა, არ მიეჩვიოს მორჩილობას, რომელიც ხშირად უფრო ნიღაბია შინაგან ურჩობისა; იმის ფიქრში არ იყოს, კაი თუ ცუდად მოვიქცევიო და ამის გამო კარგიც ვერა გააკეთოს-რა; არ იყოს დარწმუნებული, რომ თავის ნებას უნდა ყოველთვის ეწინაღმდეგოს, როგორც ბუნებით ბოროტს თვისებას ადამიანისას. როდესაც მოზარდი სტუდენტად იქცევა, მაშინ წინანდელ წრთვნასა და მზრუნველობას მოკლებული, თავის ანაბრად რჩება. საკმარისად-კი შევამზადეთ ამ სახითვათო თავისუფლებისათვის?

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კანცლერის კაპრივის მომხრე გაზეთ „Neu Keurs“-ში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომლის ავტორიც ურჩევს გერმანიას, თუ ვინიცობაა მომავალ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, გერმანიამ საფრანგეთის შვიდი დეპარტამენტი უნდა შემოიერთოს. აი საბუთებიც:

დამტკიცებულიაო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ ფრანგების სისხლში ურევია $60°/_0$ გალლების სისხლისა, $10°/_0$ რომაელთა და $30°/_0$ გერმანელთა. ჩვენ უფლება გვაქვს დავიცვათ ჩვენი მშვიდობიანობა. საჭიროა, საქმე ისე მოვაწყოთ, როგორც ფრანცისკ I-ს დროს იყო. საჭიროა, განახლდეს ის საზღვარი გერმანიის იმპერიისა, რომელიც იყო მეფე კარლოს V-ს დროს. გამარჯვებულის ომის შემდეგ საფრანგეთს უნდა ჩამოვართვათ შვიდი დეპარტამენტი: ჩრდილოეთისა, მეზისა, მერტისა, ვოგეზისა, ზემო სონისა, დუბსისა და იურისა. ამ დეპარტამენტის მცხოვრებნი გერმანელთა სისხლისა არიან, თუმცა დიდის ხნიდგანვე შეითვისეს გალლების ზნე-ჩვეულება.

## რუსეთი

ლონდონის ერთს გაზეთს სწერენ პეტერბურგიდგან:

რუსეთის მთავრობას სურს შუა გულ აზიაში დანიშნულ იქმნას მთავარ-მართებელი, რომელსაც მიენდობა შუაგულ აზიის გამაგრება და აგრეთვე გამოკვლევა, რამდენად არის გამაგრებული სპარსეთი, ინდოეთი და ავღანისტანი. მანვე უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რომ რუსეთი მზად იყოს ყოველ გვარ შემთხვევისთვის ომიანობის დროს.

—

გაზეთი С.-П. В.-ს მოჰყავს ერთი ახალი მაგალითი კიდევ იმისი, თუ რა ზარალი აქვს ხალხს უმეცრების გამო. რუსეთში ყოველ წელს სელის ძაფი კეთდება 20,000,000 ფუთი. ეს შეადგენს ნახევარს იმ სელის ძაფისას, რაც-კი დედამიწის ზურგზედ კეთდება. კანაფის ძაფსაც რუსეთში დიდძალს აკეთებენ (9,000,000 ფუთი); ამოდენა კანაფის ძაფი მთელს ევროპაშიაც-კი არა კეთდება და ჩვენ ამ სიმდიდრით ვერა ვსარგებლობთ. როგორც სჩანს, უფრო სხვისთვის ვმუშაობთ, ვიდრე ჩვენთვის.

სელისა და კანაფის ძაფის ნახევარი საზღვარ გარედ მიდის და ისიც შეუმუშავებელი, რის გამოც ფასი ძალიან ნაკლები აქვს. მეორე ნახევრიდგან ორი მილიონი ფუთი სელის ძაფი და ამდენივე კანაფისა ჩვენს ქარხნებში კეთდება ქსოვილად; დანარჩენი-კი, ტყუილ-უბრალოდ ფუჭდება და იაფ ფასიან ქსოვილებსა ჰქსოვენ ხელით.

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** Kreuz Zeitung სწერს: ეჭვი არ არის, რომ რუსეთსა და ოსმალეთის შორის მოლაპარაკებას სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ მოჰყვება აგრეთვე ლაპარაკი სრუტეების შესახებაც. ეს მოლაპარაკებაო, ამბობს იგივე გაზეთი, თავის თავად ძლიერ კარგი ნიშანია, მაგრამ ჯერ არავინ იცის ამ მოლაპარაკებას კარგი რამ შედეგი მოჰყვება რუსეთისთვის, თუ არა. რუსეთი სცდილობს, ცოტაოდენი შეღავათი მიეცეს ჩემს სავაჭრო გემებს სრუტეებზედ სიარულისთვისაო. მაგრამაო, განაგრძობს, იგივე გაზეთი, ყველამ კარგად იცის, და ეს რუსეთის კრეისერებმაც დაამტკიცეს, რომ რუსეთი არც ისე ძლიერ ასრულებს თავის პირობებს შესახებ სავაჭრო გემებისა და არა ერთხელ გადუტანია ამ გემებით ტყვია-წამალი და ჯარიც გადუყვანია. ამიტომ ხონთქარი თხოულობს, როცა დამოჯნის მოხელენი გემსა სინჯავენ, ჩვენი მოხელენიც უნდა დაესწრნენ ხოლმეო, რუსეთი-კი ძლიერ წინააღმდეგია ამისი.

—

**იტალია.** ამბობენ, რომ სულ მოკლე ხანში იტალიის ნავთსადგურებში მივა ავსტრიის ესკადრა და რამდენიმე სამხედრო გემი გერმანიისა.

—

**ინგლისი.** ადმირალმა სეიმურმა სთხოვა იტალიელებს, რადგანაც ჯერ ისევ გლოვა გვმართებს, ჯავშნიან ხომალდის „ვიქტორიას“ დაღუპვის გამო, ამიტომ დიდს დღესასწაულებს ნუ გაჰმართავთ ინგლისის ესკადრის პატივსაცემლადაო.

—

**გერმანია** იტალიის. მეფემ მისწერა თავ. ბისმარკს, რომელიც ამ ჟამად ფრიდრიხსრუეს იმყოფება, თუ ინებებთ, შეგიძლიანთ ეს ზამთარი ჩემს სასახლე კაპო დი-მენტში გაატაროთო, ნეაპოლის ახლოს. ბისმარკმა ამაზედ უარი შეუთვალა. მიზეზად ის დაასახელა, რომ ჩემთვის ძლიერ ძნელია ჩვეულ ადგილისა და ხალხის განშორებაო. ბისმარკის მოწინააღმდეგე გაზეთები ამბობენ, მოხუცი კანცლერი იმდენად კარგად არის ეხლა, რომ მალე შეუდგება ახალ პოლიტიკის წინააღმდეგ აგიტაციასო.

—

**სერბია.** Journal des Débats-ის სიტყვით, ამ უკანასკნელ რამდენსამე დღის განმავლობაში რადიკალებმა მოჰკლეს ლიბერალი ანტონ პავლოვიჩი, პროგრესისტი ნიკოლოზ ევიჩი და ქალაქის მოურავი მონასტივიცი. გარდა ამისა რადიკალებმა გაძარცვეს 14 ლიბერალი. დამნაშავენი არ არიან დასჯილნი.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ავსტრიის ვექილებს დიდი ხანია მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, ვექილობა თავისუფალი ხელობა უნდა იყოს, თანხმად 1869 წ. კანონისა, თუ სჯობიან numerus clausus შემოვიღოთო, ე. ი. თუ ვექილების რიცხვი წინადვე გადაწყვეტილი იყოს და როდესაც ამ რიცხვამდე ააღწევს, შემდეგ ახალ ვექილების მიღება აღარ შეიძლებოდესო. ამას წინად კრება ჰქონდათ ვენის ვექილებს ძ დიდმა უმრავლესობამ გარდასწყვიტა, ვექილობა ყველას შეეძლოსო. ამ უფლების შემცირების მომხრენი ამბობდნენ, რომ ვექილები გამრავლდნენ, ცხოვრება გაუჭირდათ და მათი მდგომარეობის გაუმჯობესობა დიდად სასარგებლო იქნება ხალხისათვისაო. ვექილობის თავისუფლების მომხრენი-კი იმ აზრისა არიან, რომ, 1869 წ. კანონის დარღვევა და მის ნაცვლად numerus clausus შემოღება აიძულებს ვექილთა თანაშემწეთ ჩუმად ივექილონ, როგორც წინად იყოვო. ერთმა ვექილთა საბჭოს წევრმა ამას დაუმატა, რომ მას შემდეგ, რაც ვექილობა თავისუფალ ხელობად იქმნა აღიარებული, ზნეობრივად ბევრით ამაღლდა ვექილობის წოდება, რადგანაც ყველა თვითონ არის მოპასუხე თავის მოქმედებისა და შეუძლიან მოიპოვოს ნდობა და პატივისცემა თავის კლიენტებისა მხოლოდ პატიოსნებითა და ნიჭით.

## რუსული ოპერეტი

ქართულ თეატრში მოღვაწეობს რუსული საოპერეტო დასი ქ-ნის მ. საფაროვ-აბაშიძის გამგეობით. კვირას მეცხრე, თუ მეათე წარმოდგენა ჰქონდა ამ დასს და, როგორც ეტყობა, ხალხი დიდს თანაგრძნობას უცხადებს. მართლაც უნდა ვაღიაროთ, რომ ქ-ნის მარიამ აბაშიძის დასი ყოვლად ღირსია ასეთის თანაგრძნობისა, რადგან მომღერლები—ქალებიცა და კაცებიც—კარგები ჰყავს, მემუსიკეთა დასიც—ორკესტრი—ბ-ნის ენგელის მეთაურობით, გულ-მოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობას. ყველა ამას ის დაუმატეთ, რომ ოპერეტე-

ბიც ხშირად ახალია, ტფილისში ჯერ არ წარმოდგენილი.

კვირას წარმოადგინეს ახალი ოპერეტი „ფიცხელი გული“, რომელიც გერმანულიდამ გადმოღებულია ბ ნის არბენინის მიერ. თუმცა ეს ოპერეტი მეორედ წარმოადგინეს ამ დღეს, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო და დიდათაც ისიამოვნეს დამსწრეთ მშვენიერის თამაშობით და მღერით ქ-ნის ვოლინსკაიასი, რომელიც საუცხოვოდ ასრულებდა თავის როლს. შეუდარებელი იყო ბ-ნი გ. არბენინი, რომელიც პარიკმახერის როლს ასრულებდა. მეორე მოქმედებაში კუპლეტებიც იმღერა ჩვენის ქალაქის ზოგიერთს წესწყობილებას დასცინოდა. დანარჩენი მონაწილენიც ამ ოპერეტში კვირა დღეს ყველანი ერთგულად ასრულებდნენ თავ-თავიანთ როლებს, ასე რომ მთელი პიესა მწყობრად იქმნა წარმოდგენილი. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნო ამის გამო. ამ ოპერეტის მუსიკაცა და შინაარსიც, როგორც ეტყობა, მოსწონს საზოგადოებას და გვგონია, კიდევ რამდენჯერმე ისიამოვნებს იმის წარმოდგენით.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ქართულ თეატრში მოთავსებულმა საოპერეტო დასმა, როგორც ეტყობა, ამ თავითვე მიიზიდა საზოგადოების ყურადღება და კარგად დაწყებული სეზონი ბოლოსაც კარგად გატანს გამოცდილის რეჟისორის— ბ-ნის არბენინის ხელმძღვანელობით.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ტფილისი

ოქტომბრის 4-ს დილით მიხეილის საავადმყოფოში სამი ხოლერით ავადმყოფი იყო.

მიხეილის საავადმყოფოში ორშაბათს ავლაბრიდგან ერთი ხოლერით ავადმყოფი მოიყვანეს.

იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის, სოფ. პატარძეულში ხოლერა გაჩნდა. სექტემბრის 30-ს ხოლერით ავად გახდა ერთი დედაკაცი.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში სექტემბრის 29 და 30-ს ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, მხოლოდ ოქტომბრის 1-ს-კი სამი, რომელთაგანაც ერთი გარდაიცვალა.

ოქტომბრის 2-ს დილით ბაქოს საავადმყოფოში სულ რვა ხოლერით ავადმყოფი იყო.

ოქტომბრის 2-ს ბაქოში ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა.

ერევნის გუბერნია

სოფ. ელენოვკაში 28 სექტემბერს 2 ხოლერით ავადმყოფი იყო და ორივენი მორჩნენ. ამ ჟამად გუბერნიაში ხოლერა აღარ არის.

## ბიბლიოგრაფია

—

 მეოთხედ გამოიცა რუსულს ენაზედ ბ-ნ ჯანშიევის წიგნი „Историческія справки“, ბევრით შევსებული.

ავტორი უკვე ცნობილია რუსეთის განათლებულ საზოგადოებაში, როგორც მიმდევარი და მომხრე დიდის რეფორმებისა, რომლებიც იმპერატორმა ალექსანდრე II შემოიღო. მეოთხედ გამოცემა წიგნისა ნათლად ამტკიცებს წიგნის ღირსებასაც და დიდს ყურადღებასაც მკითხველთაგან, რომელიც ავტორმა დაიმსახურა.

წიგნის შემოსავალი საქველმოქმედო საქმისთვის იქმნება გადადებული.

## გამოსადეგი ცნობანი

—

როგორ შეიტყობა, ერბოს ქონი ურევია თუ არა? გაადნეთ საჭურჭლით ერბო, ამოავლეთ შიგ პატრუქი და მოუკიდეთ. ცოტა რომ დაიწვის, გააქრეთ. თუ ბოლს სანთლის ქონის სუნი აქვს, უეჭველია ერბოში ქონი ყოფილა არეული; რაც უფრო ცუდი სუნი აქვს, მით უფრო ბევრი ქონი ურევია. წმინდა ერბოს სულ სხვანაირი სუნი აქვს და ამის გარჩევა ძალიან ადვილია.

## სამეცნიერო ნაწილი

—

1882 წლიდგან, პარიჟის პოლიციის სამმართველოში დამნაშავეთა ჰზომავენ ექიმის ბერტილიონის საშვალებით. მას აქეთ 4,560 დამნაშავე კაცის ვინაობა გამოუცვნიათ, თუმცა თვითონ ისინი ჰმალავდნენ. საფრანგეთის კანონით, თუ დამნაშავე თავის ვინაობასა ჰმალავს, სასჯელი ორთა შუა რიცხვით ასის დღით მიემატება და მაინც ბევრი თავის სახელსა და გვარს არ აცხადებდა. ეხლა-კი, ვისაც თავის ვინაობის დამალვა უნდა, იმის გამო, რომ წინად რაიმე დანაშაულობა ჩაუდენია, პარიჟში ველარ გამოჩნდება, რადგანაც დანაშაულობის განმეორებისათვის დიდი სასჯელი მოელით. ამისთანა საეჭვო კაცებს უკვე მიუტოვებიათ პარიჟი და იმას ირჩევენ, რომ პროვინციებში წვრილმან ქურდობით ირჩინონ თავი.

—

მთელის ქვეყნის ჭადრაკის მოთამაშეთა ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია პეტერბურგზედ, სადაც ერთმანერთს ეჯიბრება ორი გამოჩენილი მოთამაშე—ჩიგორინი და ტარაში (ნურენბერგელი). ამ თამაშობის ამბავი გაზეთ Н. В.-ში იბეჭდება და საჭადრაკო განყოფილების რედაქტორად თვით ჩიგორინია.

პირველი პარტია 26 სექტემბერს ითამაშეს და ჩიგორინმა წააგო. ამ თამაშობის ანგარიში Н. В.-ში არეულია. ეტყობა, ბ-ნ ჩიგორინს ისე სწყენია პირველი დამარცხება, რომ კორრექტურაც-კი ველარ გაუსწორებია.

მეორე თამაშობა 28 სექტემბერს იყო და ჩიგორინმა მოიგო. პარტიის თამაშობამ $5^1/_2$ საათს გასტანა.

# დეპეშა

4 ოქტომბერი

**ტულონი.** პრეზიდენტი რესპუბლიკისა ტულონს მოვა 14 ოქტომბერს და აველანთან მივა ვიზიტად.

დღეს დიდის ამბით გაიმართა „Batalle de fleurs“; ტულონის პრეფექტურაში გაიმართა ნადიმი; ადმირალმა ვინმა მადლობა შესწირა ხელმწიფეს საფრანგეთში ესკადრის გამოგზავნის გამო და დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცასი. შემდეგ პრეფექტმა წარმოსთქვა სადღეგრძელო თანამოძმე რუსეთის ფლოტისა და ჯარისა და სთქვა: „ჩვენ ეხლა შევადგენთ მძლავრს კავშირს და შეგვიძლიან მშვიდისა და იმედით სავსე გულით შევსცქიროთ მშვიდობიანსა და ბედნიერს მომავალს“.

დღეს პირველად მისცეს ნება ხმელეთზედ გადმოსვლისა რუსეთის ესკადრის მესაჭეთ; რუსეთის მესაჭენი უმეგობრდებიან ხალხსა და საფრანგეთის მესაჭეთ, იღებენ სხვა-და-სხვა საჩუქრებს. საღამოთი თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა. აველანი რომ თეატრში მივიდა, ხალხი აღტაცებით დაუხვდა.

5 ოქტომბერი

**კურგანი.** დღეს მოვიდა აქ პირველი მატარებელი დასავლეთ-სიბირის რკინის გზისა; მატარებელს ხალხი სიხარულით მიეგება.

**ტულონი.** ადმირალი აველანი, გირსი და 50 რუსთა აფიცერი პარიჟს წავიდნენ. სტუმარნი-რუსნი ორს საგანგებო მატარებელში მოთავსდნენ.

**პარიჟი.** კომპოზიტორს გუნოს, „ფაუსტის“ ოპერის დამწერს, წვეთი დაეცა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7._{66}$ | $7,_{69}$ | -- ,, |
| ტფამოყნის კუპონები | 153 | $153^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $239^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $192^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ¶¶ ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—

## თეატრი

—

დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად

„დამარცხებულნი“

და

„დატრიალდა ჯარა“

—

დღესვე საზაფხულო თეატრში

„Сельская честь“,

მესამე მოქმედება ოპერისა

„რუსალკა“

და

„კონცერტი“


# განცხადებანი

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გორში არსენ კალანდაძესთან.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერაეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

**ქრისტინე**

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—109)




ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНОГО ВРАЧА
АДЕЛЬГЕЙМЪ







„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ქართველთა ამხანაგობისაგან.

„ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ „კრებულში“ დასაბეჭდად გამოგზავნილი მასალა გარდაეცა ჟურნალ „მოამბის“ რედაქციას. უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც ჰსურდა თავის ნაწერები გარდაეცა „კრებულში“ დასაბეჭდად, გამოუგზავნოს ჟურნალ „მოამბის“ სახელზედ.

**კავკასიის ადგილობრივ მსროლელთა რაზმის უფროსი** ამით აცხადებს, რომ 25 **ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში** მსროლელთა რაზმის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა იჯარისგასაცემად. იჯარადარი მოვალე იქმნება 1894 წელს ზემოხსენებულ რაზმს ხორცი აძლიოს.

რაზმში 24 აფიცერია და 862 ჯარის კაცი. (3—977—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
# წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. .ე . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე. . . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ო. ჟორდანიასი . . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |

# გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^1/_2$—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანც.

---

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

# „მოამბე"

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе".

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე

---

ВЫШЕЛЪ и РАЗСЫЛАЕТСЯ ПОДПИСЧИКАМЪ
**73-Й ВЫПУСКЪ**
(насосы—нерсесовъ)
настольнаго
# ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ

Изд. съ 44 го выпуска т-ва А. Гранатъ и К°, бывш. т-ва А. Гарбель и К°.

Изданіе обнимаетъ всѣ отрасли знанія и стремится содѣйствовать самообразованію и болѣе широкому и всестороннему развитію. Отдѣлы русской исторіи и современной жизни, исторіи русской и всеобщей литературы, политической экономіи, дѣйствущаго законодательства, искуства, медицины и техники разрабатываются особенно подробно.

Все изданіе составитъ 108—115 выпусковъ или 8 томовъ по 13—14 вип. **Вышло 72 вып.** (5 томовъ и 2 вып. шестаго) **до слова Насоновъ.** Въ вышедшихъ выпускахъ **помѣщено 59,508 статей и замѣтокъ**, текстъ иллюстрированъ **1,090 портретами и рисунками**, географическими картами, выполненными картографическимъ заведеніемъ Теодора Гофмана въ Герѣ, хромо- и олеографіями, выполн. библіографическимъ институтомъ Мейера въ Лейпцигѣ, и таблицами рисунковъ. Съ пятаго тома для лучшаго ознакомленія съ великами произведеніями искуства прилагаются автотипическіе **снимки съ картинъ классическихъ художниковъ**; серія 1-я содержитъ копіи съ картинъ Клода Лоррена, Леонардо да-Винчи, Мантенья, Микель-Анджело, Мурильо. Копіи фотографированы съ оригиналовъ Браунъ и К° въ Дорнахѣ и Парижѣ, автотипіи Ангерера и Гешеля въ Вѣнѣ, печать художественнаго и библіографическаго института Фр. Брукмана преемн. въ Мюнхенѣ. Всѣхъ серій будетъ 4.

**Цѣна тому** въ изящн. коленкоровомъ переплетѣ **на обыкновенной бумагѣ 4 р. 50 к., на лучшей бумагѣ 6 р.; цѣна выпуску** на обыкновенной бумагѣ **30 к.**; на лучшей бумагѣ **40 к.** За пересылку приплачивается 10 к. на каждый рубль стоимости. **Учащіе, учащіеся и учебныя заведенія пользуются уступкою въ размѣрѣ 10°/₀. По окончаніи изданія цѣна будетъ повышена.**

**Гг. служащіе въ казенныхъ, общественныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкой** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносятъ **3 р. 60 к.** для экземпляра на обыкн. бум. и **4 р. 80 к.** для экземпляра на лучшей бум. и, представивъ ручательство казначея въ аккуратномъ платежѣ мѣсячныхъ взносовъ, получаютъ немедленно первые 4 тома изданія; затѣмъ уплачиваютъ ежемѣсячно, въ теченіе 12 мѣсяцевъ, по **1 р. 20 к.** для экземпл. на обыкн. бум. и по **1 р. 60 к.** для экземпл. на лучшей бум. Расходы по пересылкѣ оплачиваются также ежемѣсячными взносами по **15 к.** для экз. на обыкн. бум. и **20к.** для экз. на лучш. бум. На послѣдующую половину изданія допускается разсрочка на такихъ же условіяхъ.

**Частныя лица**, пользуясь **разсрочкой**, получаютъ или 1) ежемѣсячно по 5 вып. съ наложеннымъ платежемъ въ **1 р. 50 к.** для экз. на обыкн. бум. и въ 2 р. для экз. на лучш. бум. и на расходы по пересылкѣ, или 2) каждые 2 или 3 мѣсяца—по переплетенному тому съ наложеннымъ платежемъ въ 4 р. 50 к. для экз. на обыкн. бум. и въ 6 р. для экз. на лучш. бум. и на расходы по пересылкѣ.

Подробные проспекты съ отзывами печати и выдержками изъ текста высылаются по требованіямъ безплатно.

Главная контора: Москва, Долгоруковскій пер., 8.

---



Въ Б. Жуковскій — С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель — **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები მსურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

---




„ნევის პაპრუზები"

დუხები—„ნევის კაპრიზი"
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი"
საპონი—„ნევის კაპრიზი"

„მიუსკ" დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ" სა პ. ჭ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის" გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—13)

---




**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპელაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.